ანტი-დისკრიმინაციის, მრავალფეროვნებისა და ინკლუზიის თვითშეფასების საკონტროლო სია

ევროპის საბჭოს

ადგილობრივ და რეგიონულ თვითმმართველობათა კონგრესი

The Congress
Le Congrès

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

ნაშრომის სახელწოდება ინგლისურ ენაზე:

Checklist For Self-assessment On Anti-discrimination, Diversity, And Inclusion

წინამდებარე ნაშრომში გამოხატული მოსაზრებები წარმოადგენს ავტორთა პასუხისმგებლობას და შესაძლოა არ ასახავდეს ევროპის საბჭოს ოფიციალურ პოლიტიკას.

არაუმეტეს 500 სიტყვიანი ნაწყვეტების რეპროდუცირება დაშვებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც რეპროდუცირება მიზნად ისახავს კომერციული სარგებლის მიღებას, და იმ ფაქტის გათვალისწინებით თუ დაცული იქნება დოკუმენტების მთლიანობა, ნაწყვეტი არ იქნება გამოყენებული კონტექსტიდან ამოვარდნილი ფორმით, არ იქნება არასრული ინფორმაციის შემცველი ან არ შეიყვანს მკითხველს შეცდომაში ტექსტის ბუნებასთან, მოცულობასა და შინაარსთან დაკავშირებით. წყარო ყოველთვის უნდა იყოს მითითებული როგორც „© ევროპის საბჭო, გამოცემის წელი“. ყველა სხვა თხოვნა დოკუმენტის მთლიანი ტექსტის ან მისი ნაწილის რეპროდუცირებასთან/თარგმნასთან დაკავშირებით უნდა გაეგზავნოს ევროპის საბჭოს კომუნიკაციების დირექტორატს (F-67075 Strasbourg Cedex ან publishing@coe.int).

გამოცემასთან დაკავშირებული ყველა სხვა თხოვნა უნდა გაეგზავნოს ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესს.

ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი
F 67075 Strasbourg Cedex
საფრანგეთი
ელ-ფოსტა: congress.adm@coe.int

დოკუმენტის დიზაინი: შ.პ.ს. რეს ბონე

სურათი: Shutterstock

© ევროპის საბჭო, სექტემბერი, 2023

ანტი-დისკრიმინაციის, მრავალფეროვნებისა და ინკლუზიის თვითშეფასების საკონტროლო სია

მოცემული საკონტროლო სია არის ინსტრუმენტი იმ ადგილობრივი ხელისუფლებისთვის, რომელიც მზად არის ხელი შეუწყოს ინკლუზიური საზოგადოების გაძლიერებას. საკონტროლო სია გამოსადეგია მუნიციპალიტეტების თვითშეფასების პროცესში, რათა მათ პოლიტიკაში, პრაქტიკასა და სერვისებში ანტი-დისკრიმინაციული პრინციპები დანერგონ. ამ ინსტრუმენტის გამოყენებით, ადგილობრივ ხელისუფლებას შეეძლება პროაქტიულად უზრუნველყოს დისკრიმინაციის აკრძალვა, ხელი შეუწყოს თანაბარ შესაძლებლობებს და შექმნას გარემო, სადაც მრავალფეროვნება პოზიტიურად აღინიშნება. ის ხელს უწყობს დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიების შემუშავებას და მათ თემებში სოციალური ერთობის განვითარებას.

აქტიური არადისკრიმინაციული ზომები

დისკრიმინაციას აქვს მრავალი ფორმა და შეუძლია გავლენა იქონიოს მის მსხვერპლთა ყოველდღიურ ცხოვრებაზე სხვადასხვა გზით. დისკრიმინაციას ადგილი შეიძლება ჰქონდეს განათლების, დასაქმების, საცხოვრებლის მიღების, პოლიტიკური მონაწილეობის, ჯანდაცვისა და ბევრ სხვა სფეროში, რაც კომპლექსურსა და რთულს ხდის მის დაძლევას. ამასთანავე არსებობს სისტემური დისკრიმინაცია, რომელიც შეფარულად შეიძლება იყოს წარმოდგენილი ორგანიზაციების, მათ შორის, ადგილობრივი ხელისუფლების სტრუქტურებში, პოლიტიკასა და პროცედურებში.

არის თუ არა დისკრიმინაციის, მათ შორის, სისტემური დისკრიმინაციის აღმოფხვრა მუნიციპალიტეტის ყველა მახასიათებლის ცენტრალური კომპონენტი? ეს ასეა, თუ:

- ☐ მუნიციპალიტეტს აქვს უთანასწორობისა და დისკრიმინაციის შესახებ საჭირო მონაცემები, რათა დაგეგმოს შესაბამისი სერვისები და საქმიანობა.
- ☐ მუნიციპალიტეტი აფასებს ყველა ასპექტს, რათა შეამციროს სტრუქტურული დისკრიმინაციის რისკები.
- ☐ მუნიციპალიტეტი განიხილავს, ძალაუფლების რომელმა სტრუქტურებმა შეიძლება გამოიწვიოს დისკრიმინაცია და როგორ შეუძლია ამ ფაქტორების შერბილება.
- ☐ მუნიციპალიტეტმა სხვადასხვა ჯგუფებისთვის შექმნა

მხარდაჭერისა და რჩევების მიღების შესაძლებლობები, მაგალითად, ადამიანური რესურსების ან თანასწორობის დეპარტამენტი.

- ☐ დისკრიმინაციის გამოცდილების მქონე პირებს შესაძლებლობა ეძლევათ ჩაერთონ მუნიციპალური სერვისების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების პროცესში.

შეფასებულა თუ არა თქვენი სერვისები სტრუქტურული ან სხვა სახის უთანასწორობების აღმოსაჩენად, რომლებმაც შესაძლოა შეზღუდოს მონაწილეობა სერვისების განვითარების, მიწოდების, გამოყენების ან შეფასების პროცესში? როგორ შეიძლება ამის შემცირება? ეს ასეა, თუ:

- ☐ მუნიციპალიტეტს აქვს თანასწორობის გეგმა ან სხვა ჩარჩო, რათა შეაფასოს, დაგეგმოს და გაზომოს ნებისმიერი ინტერვენცია, რომელიც შეიძლება საჭირო გახდეს იმ სტრუქტურული უთანასწორობის აღმოსაფხვრელად, რაც მათ სერვისებზე წვდომას შეზღუდავს.
- ☐ იდენტიფიცირებულია სტრუქტურული ბარიერები მოქალაქეებისთვის გარკვეული უბნებიდან ტრანსპორტირებისა და გადაადგილების კუთხით.
- ☐ მუნიციპალიტეტს დაგეგმილი აქვს უთანასწორობის აღმოსაფხვრელი პოზიტიური ღონისძიებები და ინფორმირებული ჰყავს ჯგუფები და მათი წარმომადგენელი ორგანიზაციები, ვინც უთანასწორობისგან დაუცველია.
- ☐ იდენტიფიცირებულია დამატებითი ფინანსური, ადამიანური ან სხვა რესურსები, რომელიც საჭიროა კონკრეტული ჯგუფებისთვის წვდომის მხარდასაჭერად.
- ☐ მუნიციპალიტეტი არის თანასწორობისა და მრავალფეროვნების აქტიური ხელშემწყობი და უზრუნველყოფს მოწყვლადი თემების წარმომადგენლების ჩართულობას ადგილობრივი სერვისების დაგეგმვისა და მიწოდების პროცესში.

არსებობს თუ არა მუნიციპალიტეტში კომუნიკაციის გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების ყველა წევრისთვის ინფორმაციის მიწოდებასა და მაქსიმალურად ინკლუზიურ კომუნიკაციას? ეს ასეა, თუ:

- ☐ მუნიციპალიტეტის საკომუნიკაციო სტრატეგია ხაზს უსვამს ფართო აუდიტორიისთვის განხორციელებული მრავალფეროვნებისა და ინკლუზიის პოლიტიკის პოზიტიურ ელემენტებს.
- ☐ მუნიციპალიტეტის საკომუნიკაციო სტრატეგია უზრუნველყოფს,

რომ სერვისების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს რაც შეიძლება ფართო საზოგადოებისთვის.

- ☐ მუნიციპალიტეტი იყენებს ინკლუზიურ ენას - მაგალითად, გენდერულად ნეიტრალური ენა, სიმბოლოები, არავერბალური კომუნიკაცია, როგორიცაა სურათები, ფერები, ა.შ.
- ☐ ინფორმაცია ხელმისაწვდომია წერა-კითხვის შეზღუდული უნარის მქონე ან წერა-კითხვის უცოდინარი ადამიანებისთვის.
- ☐ მუნიციპალური საქმიანობის პოპულარიზაცია ხდება სხვადასხვა ღონისძიებებსა და ფორუმებზე, რომლებსაც მუნიციპალიტეტი რეგულარულად ესწრება.

საჭიროების შემთხვევაში, ადგილობრივი ხელისუფლება ითანამშრომლებს თუ არა სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და ინსტიტუტებთან, რომლებიც ებრძვიან დისკრიმინაციას და გვთავაზობენ დისკრიმინაციის მსხვერპლთა მხარდაჭერას? ეს ასეა, თუ:

- ☐ მუნიციპალიტეტი ითვალისწინებს მთელი რიგი ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების ჩართულობას, რომლებიც მუშაობენ სხვადასხვა ტიპის დისკრიმინაციის აღმოფხვრაზე ადგილობრივ გადაწყვეტილებების მიღებისა და პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში.
- ☐ ორგანიზაციების რჩევები მიიღება მუნიციპალური აქტივობების დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა ან შეფასების პროცესში.
- ☐ მუნიციპალიტეტი ასრულებს ლიდერის როლს ადამიანის უფლებებისა და თანასწორობის საკითხების მეინსტრიმინგში ადგილობრივ დონეზე.
- ☐ მუნიციპალიტეტი მონაწილეობს ან ჩართულია ადგილობრივ პლატფორმებზე კარგი პრაქტიკების გაცვლის პროცესში.
- ☐ იურიდიული ორგანოები ან ინსტიტუტები, როგორიცაა მაგალითად სახალხო დამცველის ოფისი, მუნიციპალიტეტს რჩევებს აძლევენ ანტი-დისკრიმინაციული მეთოდოლოგიის შესახებ ან ინფორმირებულნი არიან ადგილობრივი თვითმართველობის აქტივობებზე.

შეფასდა თუ არა ანტი-დისკრიმინაციის საკითხებზე სათემო და სხვა სამოქალაქო ჯგუფებთან მუშაობის სარგებელი? ეს ასეა, თუ:

- ☐ მუნიციპალიტეტი განიხილავს ისეთი ორგანიზაციების ჩართვას, რომლებიც მუშაობენ ძნელად მისადგომ თემებთან, როგორიცაა თვითდახმარების ჯგუფები, სამეზობლო ჯგუფები, ლტოლვილები

ან სხვა სათემო ჯგუფები, რათა დაეხმაროს ადგილობრივი ხელისუფლების წვდომის არეალის გაფართოებას.

- ☐ არსებობს მკაფიო სტრატეგია იმის შესახებ, თუ როდის და როგორ უნდა ჩავრთოთ ადამიანები სხვადასხვა ჯგუფებიდან და თემებიდან.
- ☐ არსებობს სივრცე რომ გადაიხედოს რომელიმე ჯგუფი ხომ არ რჩება ჩართულობის მიღმა (მაგ. ქვე-ჯგუფები ან რამდენიმე ჯგუფის გაერთიანება).

შემდგომი აქტივობა - არსებული მდგომარეობის ანალიზი

ადგილობრივ ხელისუფლებას შეუძლია განახორციელოს არსებული მდგომარეობის ანალიზი ქვემოთ ჩამოთვლილი კითხვების გამოყენებით, როგორც მრავალფეროვანი და ინკლუზიური ადგილობრივი თემის ჩამოყალიბების მიმართულებით გადადგმულიმეორე ნაბიჯი . ამ ანალიზის შედეგების მიხედვით, შესაძლოა ახალი და განახლებული პოლიტიკისა და სერვისების განხორციელება, რათა მუნიციპალიტეტში გაუმჯობესდეს ანტი-დისკრიმინაციული ძალისხმევები.

1. იდენტიფიცირება

- ☐ რომელი მოწყვლადი ჯგუფები არსებობს მუნიციპალიტეტში?
- ☐ რომელ ჯგუფებს ემუქრებათ სტიგმატიზირება ან დისკრიმინაცია? ემუქრება თუ არა რომელიმე ჯგუფს უარყოფა ან ყურადღების მიღმა დატოვება? რომელ ჯგუფებს ემუქრებათ გარიყვა?
- ☐ შექმენით იმ უმცირესობებისა და დისკრიმინაციის საფრთხის ქვეშ მყოფი ჯგუფების სია, რომლებიც არსებობენ ქვეყანაში. როგორ შეუძლია მუნიციპალიტეტს გააძლიეროს ამ ჯგუფების პოზიციები?

2. აღიარება

- ☐ რომელ უმცირესობათა ან დისკრიმინაციის საფრთხის ქვეშ მყოფ ჯგუფებს ემუქრება გარიყვა? მაგალითად, ხომ არ დაზარალდა რომელიმე ჯგუფი COVID-19 პანდემიისგან უფრო მეტად, მათ შორის, პანდემიის შედეგად გამოწვეული სოციალური ან ეკონომიკური ეფექტებით? თუ დიახ, რომელია ეს ჯგუფები?
- ☐ გარკვეულ უმცირესობათა არსებობა არის თუ არა უარყოფილი? როგორ და ვისგან მოდის ეს უარყოფა?
- ☐ არსებობს თუ არა უარყოფილი ჯგუფების აღიარების სურვილი? თუ დიახ, რომელია ეს ჯგუფები?

- ☐ არსებობს თუ არა უმცირესობად იდენტიფიცირების შიში გარკვეულ ჯგუფებში? თუ დიახ, რომელ ჯგუფებში?

3. დისკურსების ანალიზი

- ☐ რა ტიპის უარყოფითი ან პოზიტიური დისკურსები არსებობს საზოგადოებაში, მათ შორის სიძულვილის ენასა და ძალადობის წაქეზებასთან დაკავშირებით?
- ☐ როგორ შეუძლია მუნიციპალიტეტს დაუპირისპირდეს საზოგადოებაში ხელმისაწვდომ და გავრცელებულ დისკურსს?

4. მონაწილეობა და შესაძლებლობების ხელმისავწდომობა

- ☐ დასაქმებული ჰყავს თუ არა მუნიციპალიტეტს მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლები საველე სამუშაოების და/ან სერვისების მიწოდების პროცესში ბარიერების შესამცირებლად და ნაკლები შესაძლებლობების მქონე მოქალაქეებისთვის წვდომის გასამარტივებლად?
- ☐ არსებობს თუ არა საკმარისი დისაგრეგირებული მონაცემები მუნიციპალიტეტში სისტემური დისკრიმინაციის წინაშე მდგარი გარკვეული მოწყვლადი ჯგუფების მდგომარეობის შესახებ, კერძოდ, მათი შესაძლებლობების შესახებ, რათა შეძლონ ყველა სამოქალაქო, კულტურული, ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური უფლების გამოიყენება?
- ☐ ჩართული არიან თუ არა მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლები ყველა დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში?
- ☐ როგორ შეუძლია მუნიციპალიტეტს ხელი შეუწყოს მარგინალიზებული ჯგუფების სრულ და ეფექტიან მონაწილეობას ადგილობრივი გადაწყვეტილების მიღების პროცესში?

5 სპეციალური ზომები

- ☐ არსებობს თუ არა რაიმე სპეციალური ზომა, პოზიტიური ქმედება, რათა შეიქმნას თანაბარი შესაძლებლობები ჯგუფებისთვის ან ინდივიდებისთვის, რომლებიც განიცდიან დისკრიმინაციას ეთნიკური ნიშნით, ქსენოფობიას და მასთან დაკავშირებულ შეუწყნარებლობას ეკონომიკურ, სამოქალაქო, კულტურულ, პოლიტიკურ ან სოციალურ სფეროებში?

6. ინფორმაცია

- ☐ მიეწოდება თუ არა ყველა თემს, მათ შორის, ენობრივ უმცირესობებს, ინფორმაცია მათთვის გასაგებ ენაზე, რათა მათ თანაბრად და ეფექტურად მიიღონ მონაწილეობა?

ანტი-დისკრიმინაციის, მრავალფეროვნებისა და ინკლუზიის თვითშეფასების საკონტროლო სია შეიმუშეს ადგილობრივ თვითმმართველობათა ფორუმის არჩეულმა წარმომადგენლებმა 2023 წელს, ადგილობრივი ხელისუფლებისთვის ანტი-დისკრიმინაციული პოლიტიკისა და პრაქტიკის სასწავლო კურსის ფარგლებში.

ადგილობრივ თვითმმართველობათა ფორუმი უნიკალური პლატფორმაა, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში ადგილობრივი ხელისუფლების ხელშეწყობას სოციალური ინკლუზიის გაუმჯობესების, თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფისა და პოლიტიკის შემუშავების პროცესში გენდერული პერსპექტივის გათვალისწინების მიმართულებით, რათა აღმოიფხვრას დისკრიმინაცია. ფორუმი შეიქმნა პროექტის "მონაწილეობითი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების გაძლიერება ადგილობრივ დონეზე საქართველოში" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებენ ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი და დემოკრატიისა და ადამიანის ღირსების გენერალური დირექტორატი საქართველოსთვის ევროპის საბჭოს 2020-2023 სამოქმედო გეგმის ფარგლებში, ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის ფინანსური მხარდაჭერით.

www.coe.int

ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში წამყვანი ორგანიზაცია კონტინენტზე. ის აერთიანებს 46 წევრ სახელმწიფოს, მათ შორის, ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოს. ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი არის ევროპის საბჭოს ინსტიტუტი, რომელიც პასუხისმგებელია ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატიის გაძლიერებაზე საბჭოს 46 წევრ სახელმწიფოში. კონგრესი შედგება ორი პალატისაგან - ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების პალატისა და რეგიონული ხელისუფლების ორგანოების პალატისაგან - და სამი კომიტეტისაგან. ის აერთიანებს 130 000-ზე მეტი ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოს წარმომადგენელ 612 არჩეულ თანამდებობის პირს.

The Congress
Le Congrès

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE